ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31223411**
თარიღი: **07/12/2022**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“
სხდომის ოქმი №14

ქ. ლანჩხუთი

5.12.2022წელი
11 საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე – **მაკა მშვიდობაძე.**
სხდომას ესწრებოდნენ: ჯუმბერ ბლაგიძე, გოჩა ჯანაშია.
მოწვეული სტუმრები: ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის დირექტორი გოჩა მოქია, ამავე სამსახურის საფინანსო განყოფილების უფროსი კობა კუნჭულია.
ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის დირექტორი ნატა კობალავა, ამავე სამსახურის მთავარი ბუღალტერი მარინა ქანთარია.
ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის დირექტორი დიტო მარშანიშვილი, ამავე სამსახურის მთავარი ბუღალტერი მედეა ხუხუნაიშვილი.
ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ სხდომა გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და 2023 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის შესახებ ანგარიშის მოსმენა.
/მომხსენებელი მაკა მშვიდობაძე/

2. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და 2023 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის შესახებ ანგარიშის მოსმენა.
/მომხსენებელი მაკა მშვიდობაძე/

3. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და 2023 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის შესახებ ანგარიშის მოსმენა.
/მომხსენებელი მაკა მშვიდობაძე/
4. სხვადასხვა საკითხები

ფრაქციის თავმჯდომარემ, მაკა მშვიდობაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.
მომხრე - 3 წევრი. წინააღმდეგი არცერთი

დღის წესრიგის პირველი საკითხი - ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და 2023 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის შესახებ ანგარიში სხდომას წარუდგინა ამავე ცენტრის ხელმძღვანელმა გოჩა მოქიამ.

ფრაქციის წევრები დაინტერესდნენ აღნიშნულ ა(ა)იპში ხელფასის მატების და რეორგანიზაციის საკითხებით, რაზეც გოჩა მოქიამ განმარტა, რომ ისევე როგორც 2022 წლის ბიუჯეტში, მიმდინარე წელსაც გათვალისწინებულია ხელფასების 10%-იანი მატება. მისი თქმით, რეორგანიზაციის შედეგად განთავისუფლდა 70 თანამშრომელი. ა(ა)იპ-ისთვის შეძენილი იქნა 6 მანქანა, შესაბამისად მოხდა თანამშრომელთა დამატება.

გოჩა ჯანაშია დაინტერესდა, საკმარისია თუ არა ა(ა)იპ-ისთვის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტით გამოყოფილი თანხები, რაზეც გოჩა მოქიამ უპასუხა, რომ თანხის დამატება საწვავის ფასზეა დამოკიდებული, ეტაპობრივად მიმდინარეობს ყველა პრობლემის მოგვარება. მიმიდინარე წელს იგეგმება უთოს და კომპრესორის შეძენა, ასევე მოხდება ურნების დამატება.

ფრაქციის წევრმა ჯუმბერ ბლაგიძემ აღნიშნა, რომ სასურველია მოხდეს აღნიშნულ ა(ა)იპ-ში ხელფასების მოწესრიგება.

ასევე სოფელ სუფსაში, კერძოდ, „ბახმაროს დასახლებაში“ 10 საცხოვრებელი სახლი მუდმივად საჭიროებს მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებას.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და 2023 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის შესახებ ანგარიში მოსმენილი იქნა ფრაქციის წევრების მიერ.

დღის წესრიგის მეორე საკითხი- ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და 2023 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის შესახებ ანგარიში სხდომას წარუდგინა ცენტრის დირექტორმა ნატა კობალავამ, მან აღნიშნა, რომ 2022 წლის ბიუჯეტი შეადგენდა 2700000 ლარს, 2022 წელს გამოცხადდა და დაიდო ხელშეკრულება 14 ტენდერზე,აქედან 11 არის კვების ტენდერი.

მოხდა სააღმზრდელო პერსონალის გადამზადება, გადამზადდა 25 თანამშრომელი. ბაღებისთვის შეძენილი იქნა 25219 ლარის რესურსები. ბაღებისთვის შეძენილი იქნა სურსათის უვნებლობის ეროვნული სააგენტოს რეკომენდაციით ავეჯი, საერთო ღირებულება შეადგინა 4700 ლარი.სასკოლო მზაობის ბავშვებისათვის შეძენილ იქნა წიგნები წიგნები 4875 ლარის ღირებულების. წლის მანძილზე საშუალოდ ბაღებისთვის იხარჯება 26750 ლარის სამეურნეო საქონელი.

სულ ათვისებული სუბსიდია 1 დეკემბრის მდგომარეობით არის 2 498 951 ლარი.

ფრაქციის წევრები დაინტერესდნენ მოხდა თუ არა აღნიშნულ ა(ა)იპში ხელფასების 10%-იანი მატება და რეორგანიზაცია, რაზეც ნატამ კობალავამ უპასუხა, რომ ხელფასი მოემატათ საბავშვო ბაღის პერსონალს, ხოლო ცენტრის თანამშრომლებს არ მომატებიათ. ასევე არ მომხდარა რეორგანიზაცია.

ნატა კობალავამ აღნიშნა, რომ 2022 წლის ბიუჯეტი გათვილი იყო 12 თვეზე, მაგრამ ხელფასების 10%-იანი მატების გამო საჭირო გახდა თანხის დამატება.

ფრაქციის წევრი ჯუმბერ ბლაგიძე დაინერესდა რამდენი იყო 2022 წლის ბიუჯეტი, რაზეც ნატა კობალავამ უპასუხა,რომ 2022 წლის ბიუჯეტი განსაზღვრული იყო 2 700000 ლარით. 2023 წლის ბიუჯეტი კი წარმოდგენილია 3 500000 ლარით.

გოჩა ჯანაშია დაინტერესდა, თუ მოხდება ბაღებში ტრანსპორტით უზრუნველყოფა, რაზეც ცენტრის ხელმძღვანელმა განუმარტა, რომ ძალიან დიდ პრობლემას

წარმოადგენს ბაღის აღსაზრდელებისათვის უსაფრთხო ტრანსპორტის მოძიება.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის დირექტორმა აღნიშნა, რომ მწყობრიდან არის გამოსული და შეძენას საჭიროებს ა(ა)იპისთვის განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალება.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და 2023 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის შესახებ ანგარიში მოსმენილი იქნა ფრაქციის წევრების მიერ.

3. **დღის წესრიგის მესამე საკითხი -** ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და 2023 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის შესახებ ანგარიში წარადგინა ამავე ცენტრის დირექტორმა დიტო მარშანიშვილმა მარშანიშვილმა, მან აღნიშნა რომ 2022 წლის ივნისის თვეში მოხდა თანამშრომელთა ხელფასების 10%-იანი მატება, რაც 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული არ არის. რეორგანიზაციის შედეგად სამსახურიდან გათავისუფლებული იქნა 9 თანამშრომელი. მისი თქმით სპორტული ღონისძიებებისთვის გამოყოფილი 35 000 ლარი არა საკმარისია და საჭიროა თანხის გაზრდა 45000 ლარამდე, არასაკმარისია ასევე სამივლინებო ხარჯისთვის გამოყოფილი თანხა.

ჯუმბერ ბლაგიძე დაინტერესდა, რამდენი შტატიანი და შტატგარეშე თანამშრომელია აღნიშნულ ა(ა)იპში, რაზეც დიტო მარშანიშვილმა უპასუხა, სულ დასაქმებულია 64 თანამშრომელი, აქედან სელშეკრულებით აყვანილია 56, ხოლო დანარჩენი შტატითაა გათვალისწინებული.

ასევე ჯუმბერ ბლაგიძე დაინტერესდა 10%-იანი მატების შემთხვევაში თანხის რა ოდენობის დამატება იქნებოდა საჭირო, რაზეც ბატონმა დიტომ განმარტა, რომ დაახლოებით საჭირო იქნება 60 000 ლარამდე თანხის დამატება.

გოჩა ჯანაშია დაინტერესდა იგეგმება თუ არა აღნიშნულ ა(ა)იპში სპორტის ახალი სახეობების დამატება, რაზეც დიტო მარშანიშვილმა უპასუხა, რომ ამ ეტაპზე არ იგეგმება ახალი სახეობების დამატება.

ფრაქციის წევრების განმარტებით ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი თავიდანვე არასწორად არის დაგეგმილი.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის 2022 წლის ბიუჯეტის შესრულებისა და 2023 წლის ბიუჯეტის დაგეგმვის შესახებ ანგარიში მოსმენილი იქნა ფრაქციის წევრების მიერ.

4. სხვადასხვა საკითხები:

ფრაქციის წევრებმა ღრმა მწუხარება გამოთქვეს უკრაინაში ლანჩხუთელი მებრძოლის ჯამბულათ ხოფერიას გარდაცვალების გამო.

ფრაქციის წევრმა, გოჩა ჯანაშიამ მოითხოვა ახსნა-განმარტება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფეისბუქის გვერდზე დადებული სამძიმრის განცხადების აღებასთან დაკავშირებით.

ფრაქციის თავმჯდომარე მაკა მშვიდობაძემ დააყენა საკითხი, რომ მოხდეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ნაგვის გადასახადის დაწესება.
ფრაქციის წევრებმა გამოხატეს უკმაყოფილება იმის თაობაზე,რომ მათ მიერ გაგზავნილ არცერთ ინიციატივაზე რეაგირება არ მომხდარა.
ფრაქციის წევრი ჯუმბერ ბლაგიძე დაინტერესდა მოქმედებს თუ არა ლაჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში ახალგაზრდული საბჭო, ასევე ხდება თუ არა სახალხო ბიუჯეტირებაში მოსახლეობის ჩართულობა.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

მაკა მშვიდობაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის"-საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის" თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია

„ლანჩხუთი საქართველოსთვის“ სხდომაზე დეპუტატთა

დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

05.12.2022 წელი

11:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	მაკა მშვიდობაძე	10:55 წ.	
2	გოჩა ჯანაშია	10 55	
3	ჯუმბერ ბლაგიძე	10:50	